



ამოიცანი დეზინფორმაცია

სოციალური მედიის მონიტორინგის შედეგები

(ოქტომბერ-ნოემბერი, 2020 წ.)

მედია მონიტორინგის ანგარიში მოამზადა დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა (DRI), პროექტის „ამოიცანი დეზინფორმაცია“ ფარგლებში. პროექტი მხარდაჭერილია ფონდი Prodemos • პროდემოსის მიერ. პუბლიკაციაში ასახული პოზიციები და შეხედულებები ეკუთვნის პროექტის გუნდს და არ უნდა მოხდეს მისი აღქმა ფონდი Prodemos • პროდემოსის ოფიციალურ მოსაზრებად.

მონაცემთა დამუშავება და მედია მონიტორინგი: ქეთევან მურღულია

გამოცემაზე პასუხისმგებელი: უჩა ნანუაშვილი, თამარ ხიდაშელი

სარჩევი

შესავალი.....	4
1. მეთოდოლოგიური ჩარჩო.....	5
2. დეზინფორმაციული კამპანიის ანტიდასავლური გზავნილები კოვიდ 19 პანდემიის ფონზე.....	8
2.1. ძირითადი ანტიდასავლური გზავნილები კორონავირუსის შესახებ:.....	8
2.2. ფარმაცევტული კომპანიები და ანტივაქსერული დისკურსი.....	8
3. დეზინფორმაციული კამპანია და კონსპირაციული თეორიები.....	10
3.1. კოვიდ 19 ვირუსი და მკურნალობის ყალბი მეთოდები.....	11
3.2. კონსპირაციული თეორიები და დეზინფორმაციული გზავნილები კოვიდ 19 ვირუსის წარმოშობისა და მახასიათებლების შესახებ	12
3.3. ბილ გეიტსი და ანტივაქსერული დისკურსი	13

შესავალი

დეზინფორმაციული გზავნილები პანდემიასთან ბრძოლის პროცესში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა და ეროვნული ჯანდაცვის სისტემებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ონლაინ სამყაროში კოვიდ 19 პანდემიის გარშემო ყალბი ამბებისა და კონსპირაციული თეორიების გავრცელების სიხშირე იმდენად მაღალია, რომ ალტერნატიულ რეალობას ქმნის. შესაბამისად, გართულდა ზღვარის გავლება გამიზნულ ცრუ პროპაგანდასა და სინამდვილეს შორის.

სოციალური მედია და სხვა მასობრივი კომუნიკაციები ხელსაყრელი პლატფორმა აღმოჩნდა დეზინფორმაციული კამპანიისა და პროპაგანდის საწარმოებლად. წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის (DRI) მიერ განხორციელებული სოციალური მედიის მონიტორინგის შედეგს, რომელშიც გაანალიზებულია 2020 წლის ოქტომბერ-ნოემბერში კოვიდ 19-ის პანდემიის ფონზე დეზინფორმაციის გამავრცელებელი მედია საშუალებების გზავნილები და შესწავლილია მათი მანიპულაციური დისკურსის ძირითადი ტენდენციები. ანალიზი ეყრდნობა ფეისბუქ გვერდების მონაცემებს (სტატუსებს და ფოტო-ვიდეო ვიზუალიზაციას).

საერთო ჯამში, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა კოვიდ 19-თან დაკავშირებული სტიგმების, დეზინფორმაციისა და კონსპირაციული თეორიების 785 შემთხვევა გამოავლინა 15 ვებგვერდსა და 10 ფეისბუქ გვერდზე. ყალბი ამბებითა და კონსპირაციული თეორიებით აღსავსე ინფოდემია¹ კორონა ვირუსის მკურნალობის დაუსაბუთებელ მეთოდებს და ვირუსის წარმოშობის საკითხებს ეხებოდა.

ძირითადი დაკვირვების სახით შეიძლება ითქვას, რომ დეზინფორმაციული კამპანიის ერთ-ერთი ძირითადი სამიზნე კოვიდ 19-ის ექსპერიმენტული ვაქცინებია. აღნიშნული საკითხი დიდი ბრიტანეთის მთავრობის კომუნიკაციების ცენტრმა (GCHQ) შეისწავლა. მათი დასკვნით, Covid 19-ის ვაქცინების შესახებ დეზინფორმაციის მთავარ პირველწყაროს რუსეთი წარმოადგენს.

აქტიური პრორუსული კამპანია რუსული ვაქცინის „Sputnik V“-ს გარშემო საქართველოშიც მიმდინარეობდა. ასევე, ვრცელდებოდა ანტიდასავლური შინაარსის კონსპირაციული თეორიები ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ვირუსის ლაბორატორიაში ხელოვნურად შექმნის და Microsoft-ის დამფუძნებლის ბილ გეიტსის მიერ ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის მსოფლიო მოსახლეობის კონტროლის მექანიზმად გამოყენების შესახებ. კოვიდ 19-ის ვირუსთან დაკავშირებით გავრცელებული ჭარბი ინფორმაციები მოიცავს დეზინფორმაციებს მკურნალობის არაზუსტი მეთოდების, გადადების გზებისა და წარმოშობის შესახებ. ასევე, აქტიურად მიმდინარეობდა ვაქცინაციის სამომავლო პროცესის მადისკრედიტირებელი კამპანია.

მედია მონიტორინგის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ კოვიდ 19-ის პანდემიასთან დაკავშირებულ დეზინფორმაციულ მედიაკამპანიას ქსელური ხასიათი აქვს. ოგი მიზანმიმართულად ქმნის ყალბ, მანიპულაციურ კონტენტს, რაც მნიშვნელოვანი ზიანის მომტანია, ვინაიდან საზოგადოებაში გაურკვევლობასა და შიშს ნერგავს.

¹ ინფოდემია - ინფორმაციის ჭარბი მიწოდება, რასაც თან ახლავს ყალბი ამბების და კონსპირაციული თეორიების გავრცელება.

1. მეთოდოლოგიური ჩარჩო


მედია მონიტორინგი მოიცავს, როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისობრივ მონაცემებს. მასში გაანალიზებულია კოვიდ 19 პანდემიასთან დაკავშირებული დეზინფორმაციული კამპანიის ძირითადი გზავნილები ონლაინ მედია კონტექსტში. ანგარიშში თემატური ტიპოლოგიის გზით არის დაჯგუფებული კორონავირუსთან დაკავშირებული საინფორმაციო და ვიზუალური მასალა.

ანგარიშის მიზანია, კორონავირუსის პანდემიის ფონზე დეზინფორმაციის გამავრცელებელი მედია საშუალებების მთავარი გზავნილების იდენტიფიცირება და საზოგადოების ინფორმირება ინფოდემიის დისკურსის ძირითადი მახასიათებლების შესახებ. ტენდენციური გზავნილების საიდენტიფიკაციოდ, საკვლევ ობიექტებად ის ფეისბუქ გვერდები და მედია საშუალებები განვსაზღვრეთ, რომელთა მომხმარებლებიც მაღალი ონლაინ ინტერაქციით გამოირჩევიან. დეზინფორმაციული კამპანიის ფართო სპექტრში გაანალიზების მიზნით, განსხვავებული სარედაქციო პოლიტიკისა და კონტექსტის მქონე მედია საშუალებები შევარჩიეთ. დეზინფორმაციის გავრცელების სიხშირისა და პირველწყაროების იდენტიფიცირებისთვის ფეისბუქის ანალიტიკური ხელსაწყო CrowdTangle გამოვიყენეთ.

შესწავლილი დეზინფორმაცია შინაარსობრივი მახასიათებლების მიხედვით ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ანტიდასავლური გზავნილები და კონსპირაციულ/პროპაგანდისტული გზავნილები.

პოსტებზე ინტერაქციის რაოდენობა

ნარატივი	სტატუსების და სტატიების რაოდენობა	გაზიარების რაოდენობა	კომენტარების რაოდენობა	სხვა ტიპის რეაქციები	ჯამური ინტერაქცია
ანტიდასავლური გზავნილები	405	1000	1300	1 375	3675
კონსპირაციული/პროპაგანდისტული გზავნილები	380	775	1042	1022	2839



მედიამონიტორინგის ფარგლებში შერჩეულ საკვლევ ობიექტებზე განთავსებული პოსტების ნახევარზე მეტი - 66% წარმოდგენილი იყო ტექსტური მასალის (სტატუსი, სტატია) სახით, ვიდეო კონტენტი მოიცავდა 24%-ს, ხოლო ფოტოები 10%-ს შეადგენდა. შესწავლილი პოსტების ჯამურმა ინტერაქციამ გამოავლინა, რომ ყველაზე მაღალი რეიტინგით ანტიდასავლური შინაარსის მქონე პოსტები გამოირჩეოდა.

მონიტორინგის ფარგლებში საკვლევ ობიექტებად შეირჩა როგორც პრორუსული, აგრეთვე მკვეთრად კონსერვატიული, ანტილიბერალური მედია საშუალებები. ჩვენი ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ასევე ისეთი ქართული ონლაინ გამოცემები, რომელთა მეშვეობითაც ყველაზე ხშირად ვრცელდებოდა დეზინფორმაციები კოვიდ 19-ზე.

მონიტორინგის ფარგლებში საკვლევ ობიექტად შერჩეული ონლაინ მედია გამოცემები:

1	საქართველო და მსოფლიო	http://geworld.ge/ge/
2	საქინფორმი	http://saqinform.ge/
3	სპუტნიკ საქართველო	https://sputnik-georgia.com/
4	ალტ-ინფო	https://alt-info.com/
5	abcnews	http://abcnews.com.ge/
6	თვალსაზრისი	https://tvalsazrisi.ge/
7	News-Front Georgia	https://ge.news-front.info/
8	ალია	https://www.alia.ge/
9	For.ge	https://for.ge/

10	qartuliazri.reportiori.ge	http://qartuliazri.reportiori.ge/
11	exclusivenews.ge	http://www.exclusivenews.ge/
12	ჰოთ ნიუსი	http://hotnews.ge/index.php/en/
13	ინფო-ფოსტალიონი	https://www.infopostalioni.com/
14	presa.ge	https://presa.ge/?m=world&AID=80719
15	readtime.ge	http://readtime.ge/

მონიტორინგის ფარგლებში საკვლევ ობიექტებად შერჩეული ფეისბუქ გვერდები:

1	კორონავირუსი/covid 19 ერთად დაავადრცხობთ	https://cutt.ly/UhwzUrl
2	სტალინი	https://cutt.ly/9hwzIRQ
3	საქართველოსთვის	https://cutt.ly/YhwxqsK
4	გზა ქრისტესკენ	https://cutt.ly/YhwxikP
5	საერთო სახალხო მოძრაობა	https://cutt.ly/Vhwz1kz
6	კორონა მაფია	https://cutt.ly/HhwzXYb
7	პოლიტიკანო	https://www.facebook.com/PoliticanoGeorgia
8	ქართული ყირამალა	https://cutt.ly/0hwxQKL
9	დედაქალაქი	https://www.facebook.com/dedakalaki
10	საერთო გაზეთი	https://www.facebook.com/saertogazeti.ge

2. დეზინფორმაციული კამპანიის ანტიდასავლური გზავნილები კოვიდ 19 პანდემიის ფონზე

კოვიდ 19-ის მსოფლიო პანდემიად გამოცხადების პარალელურად, ონლაინ მედიაში არაერთი ანტიდასავლური გზავნილების მქონე კონსპირაციული თეორიები და ყალბი ამბები გავრცელდა. დეზინფორმაციული კამპანიის მნიშვნელოვან სამიზნედ იქცა ერთი მხრივ, ვაქცინაზე მომუშავე დასავლური კომპანიები, ხოლო მეორე მხრივ, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია. გარდა ამისა, გააქტიურდა ანტივაქსერული² კამპანიაც.

დეზინფორმაციული კამპანიის ძირითადი მიზანი მოსახლეობაში დასავლური კომპანიებისა და ინსტიტუტების მიმართ უნდობლობის დათესვა იყო. სწორედ ამ მიმართულებით იქმნებოდა და ვრცელდებოდა ყალბი ამბები. დეზინფორმაციული კამპანიის სამიზნე აღმოჩნდნენ დასავლეთის წამყვანი ქვეყნების ჯანდაცვის სისტემები და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია. დეზინფორმაციული კამპანიის თანახმად, კორონავირუსი გამოგონილია ფარმაცევტული კომპანიების მიერ, მილიარდიანი მოგების მიზნით. საგულისხმოა, რომ დასავლური ფარმაცევტული კომპანიები და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, ანტივაქსერული ჯგუფების მიერ აღიქმებიან, როგორც ლიბერალური, მათთვის მტრული იდეოლოგიის გამტარი ძალები. სწორედ ამიტომ, ისინი სკეპტიკურად აფასებენ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ქმედებებს და შესაბამისად, უნდობლობას უცხადებენ პანდემიას. დეზინფორმაციულმა კამპანიამ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წინააღმდეგ იმდენად მასშტაბური ხასიათი მიიღო, რომ ინფოდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში საჭირო გახდა დიდი მედია და ტექნოლოგიური კომპანიების გააქტიურება. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის დირექტორმა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე 15 თებერვალს [განცხადა](#), რომ ყალბი ამბების წინააღმდეგ საბრძოლველად თანამშრომლობა დაიწყეს ისეთ მედია კომპანიებთან, როგორებიც არის: Facebook, Google, Pinterest, Tencent, Twitter, TikTok, YouTube და სხვები.

2.1. ძირითადი ანტიდასავლური გზავნილები კორონავირუსის შესახებ:

- ვირუსის გავრცელების თანმხლები პროცესია დასავლური ფარმაცევტული კომპანიების მიერ იძულებითი ვაქცინაცია, რაც ერთი მხრივ, ემსახურება მოსახლეობის მასობრივ კონტროლს, ხოლო მეორე მხრივ, მილიარდიანი ფინანსური მოგების ნახვას
- ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია გაურიგდა დასავლურ ფარმაცევტულ კომპანიებს ფინანსური მოგების ნახვის მიზნით და რეალურად პანდემია არ არსებობს

2.2. ფარმაცევტული კომპანიები და ანტივაქსერული დისკურსი

² ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც ვაქცინების ეფექტიანობას და სანდობობას ეჭვქვეშ აყენებენ და არ სცნობენ ვაქცინების საჭიროებას. გარდა ამისა, ავრცელებენ სხვადასხვა კონსპირაციულ თეორიებს ვაქცინის საწინააღმდეგოდ.

სოციალურ ქსელ ფეისბუქში კორონავირუსთან დაკავშირებული არაერთი კონსპირაციული თეორია და დეზინფორმაცია გავრცელდა, რომლის თანახმადაც, პანდემია კარგად დაგეგმილი აფიორაა და ემსახურება ფარმაცევტული კომპანიების გამდიდრებას. საქართველოში ანტივაქსერული ჯგუფების მიერ ამ მიმართულებით გავრცელებული ყალბი ამბების პირველ წყაროს წარმოადგენს რუსულენოვან საიტზე stoppanika.ru³ გამოქვეყნებული [სტატია](#), სადაც აღნიშნულია, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია ხელს უწყობს ვირუსის გავრცელებას და მსოფლიო მოსახლეობის ვაქცინაციის გზით ფარმაცევტული კომპანიების გამდიდრებას ისახავს მიზნად.

დეზინფორმაცია N1: პანდემია აფიორაა და ვაქცინაციის გზით ემსახურება ფარმაცევტული კომპანიებისა და ენტონი ფაუჩის გამდიდრებას.

სიმართლე: ჯერ-ჯერობით მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას არ დაუმტკიცებია არცერთი ფარმაცევტული კომპანიის ვაქცინა Covid 19-ის წინააღმდეგ. აშშ-ს ალერგიისა და ინფექციური დაავადებების ეროვნული ინსტიტუტის დირექტორის ენტონი ფაუჩის ვაქცინებიდან ფინანსური მოგების შესახებ ინფორმაცია [კონსპირაციული თეორიაა](#).⁴ ამ ეტაპზე საკვლევ პროცესშია 70-მდე ვაქცინა, რომელთაგანაც ერთ-ერთ კომპანიასთან პარტნიორობს ალერგიისა და ინფექციური დაავადებების ეროვნული ინსტიტუტი, თუმცა არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, რომ ენტონი ფაუჩი მიიღებს რაიმე სახის ფინანსურ სარგებელს აღნიშნული ვაქცინის დამტკიცების შემთხვევაში.

დეზინფორმაციის გავრცელების წყაროები: აღნიშნული დეზინფორმაცია ქსელურად გავრცელდა შემდეგ Facebook ჯგუფებში: [„კორონა აფიორა“](#), [„ანტი-მასონობა. „ანტიქრისტეს“ ახალი მსოფლიო წესრიგი \(NWO\): ანტი-ეკუმენიზმი“](#), [„საერთო სახალხო მოძრაობა“](#), [„კორონა მაფია“](#). CrowdTangle-ის თანხმად, ჯამში აღნიშნულ პოსტებზე ონლაინ ინტერაქციამ 854 მომხმარებელი შეადგინა.



³ stoppanika.ru, „ПАНДЕМИЯ COVID-19 - ПРОЕКТ ВОЗ И ВСЕМИРНОГО БАНКА, 5 ოქტომბერი 2020, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/shttfwf>

⁴ მითების დეტექტორი, „საიდან იღებს სათავეს კონსპირაციები, თითქოს კოვიდის პანდემია მოსახლეობის შესამცირებლად და ფარმაცევტული კომპანიების გასამდიდრებლად დაიგეგმა“, 15 ოქტომბერი 2020. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/khtysmN>

3. დეზინფორმაციული კამპანია და კონსპირაციული თეორიები

პანდემიის პარალელურად, ონლაინ სივრცეში გავრცელდა სხვადასხვა შეთქმულების თეორიები და ყალბი ინფორმაციები კოვიდ 19-ის წარმოშობის, მკურნალობისა და დიაგნოსტიკის შესახებ. ვირუსთან დაკავშირებულმა დეზინფორმაციამ სრულიად მოიცვა ონლაინ მედია და იმხელა მასშტაბებს მიაღწია, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ პანდემიასთან ბრძოლის პარალელურად მნიშვნელოვან გამოწვევად სწორედ ინფოდემია დაასახელა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ანტონიუ გუტერეშიმ კი ტვიტერის ანგარიშზე გამოაქვეყნა [პოსტი](#): „ჩვენი საერთო მტერი არის Covid 19, თუმცა ჩვენი მტერი ასევე, დეზინფორმაციის ინფოდემიაა“. დეზინფორმაციული გზავნილები და კონსპირაციული თეორიები ვირუსის გარშემო მნიშვნელოვნად აფერხებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემების ეფექტურ ფუნქციონირებას და საზოგადოებაში აღვივებს უნდობლობას მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიმართ.

პანდემიის ფონზე, ყალბი ინფორმაცია მკურნალობის მეთოდებისა და ვირუსის დიაგნოსტიკის შესახებ სხვადასხვა ონლაინ პლატფორმებზე საქართველოშიც ფართოდ გავრცელდა. სოციალურ ქსელში ცალკეულმა ინდივიდებმა და სხვადასხვა ჯგუფებმა აქტიურად გააზიარეს კონსპირაციული თეორიები ვირუსის განკურნების მეთოდების შესახებ. არაერთი შეთქმულების თეორია შეიქმნა ვირუსის ხელოვნურად შექმნისა და გავრცელების შესახებაც.

კორონა ვირუსის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შესახებ დეზინფორმაციულმა კამპანიამ ფართო მასშტაბის გამო საფრთხის წინაშე დააყენა, როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემები, ასევე ცალკეულ ინდივიდთა სიცოცხლეც. ამის ნათელი დადასტურებაა ფატალური შემთხვევები ირანში. გამოცემა [Telegraph](#)-ის თანახმად, Covid 19-ის მკურნალობის მიზნით მეთილის სპირტის გამოყენებას ირანში 700 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. [BBC](#)-ის მიერ ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიებით კი, რომელიც ეყრდნობოდა ექიმების, მსხვერპლებისა და ექსპერტების მონათხრობს, გამოაშკარავდა, რომ კონკრეტულ დანაშაულებს, რომლებმაც ადამიანთა გარდაცვალება გამოიწვია, პირდაპირი კავშირი ჰქონდა ვირუსის შესახებ გავრცელებულ დეზინფორმაციასთან. [ტროპიკული მედიცინისა და ჰიგიენის](#) ამერიკულ ჟურნალში მკვლევართა ჯგუფის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში მითითებულია, რომ პანდემიის დასაწყისში, კორონავირუსის შესახებ გავრცელებულ დეზინფორმაციას მსოფლიოს მასშტაბით 800-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.⁵

ამ პერიოდში განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა საქართველოში ასევე ანტივაქსერული კამპანიის გააქტიურებაც. სხვადასხვა ონლაინ გამოცემებსა და ფეისბუქ გვერდებზე გავრცელდა კონსპირაციული თეორიები ვაქცინაციის მიკროჩიპებით ჩატარების თაობაზე, მსოფლიო მოსახლეობის გაკონტროლების მიზნით. გარდა ამისა, ანტივაქსერული კამპანიის მნიშვნელოვანი დეზინფორმაციული გზავნილი იყო ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის მეშვეობით ადამიანის დნმ-ს ცვლილება და ამ გზით მსოფლიო კონტროლის დაწესება. აღნიშნული ინფორმაცია არის პანდემიის გარშემო გავრცელებული კონსპირაციული თეორიების შემადგენელი ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს ვაქცინის შესახებ ადამიანების შეცდომაში შეყვანას და საზოგადოებაში უნდობლობის გაჩენას.

⁵ On.ge, „COVID 19-ზე გავრცელებული დეზინფორმაციის გამო ასობით ადამიანი გარდაიცვალა“, 28 აგვისტო 2020, ხელმისაწვდომია: <http://tiny.cc/ep75tz>

3.1. კოვიდ 19 ვირუსი და მკურნალობის ყალბი მეთოდები

დეზინფორმაცია N2: გერმანელმა მეცნიერებმა დაასახელეს მცენარე, რომელიც კორონავირუსის 97%-ს წუთებში ანადგურებს.⁶

სიმართლე: მტკიცება, რომ გერმანელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს მცენარე, რომელიც კორონავირუსს წუთებში სპობს, ემყარება ტაილანდური მედიცინის ვებპორტალზე გამოქვეყნებულ [კვლევას](#), რომლის სანდოობა და ვალიდურობა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების მიერ არ არის დამტკიცებული. გარდა ამისა, კვლევაში არაა აღნიშნული, თუ რომელ შრატზე დაყრდნობით ჩატარდა ექსპერიმენტი.

დეზინფორმაციის გავრცელების წყაროები: აღნიშნული დეზინფორმაცია ქსელურად გავრცელდა შემდეგ ფეისბუქ გვერდებსა და ჯგუფებში: [„დიასპორული ამბები“](#), [„საქართველო“](#), [„იტალიის ცის ქვეშ“](#), [„ემიგრანტის დღიურები ამერიკიდან“](#). ჯამში მანიპულაციური მასალა მცენარეზე, რომელიც კორონა ვირუსს კურნავს, 165-ჯერ გაზიარდა სოციალურ ჯგუფში და CrowdTangle-ის თანხმად, ონლაინ ინტერაქციამ 300 მომხმარებელს გადააჭარბა. დეზინფორმაციის პირველ წყაროს ქართულ ონლაინ მედიაში წარმოადგენს ვებ პორტალი [Nostal.ge](#).

დეზინფორმაცია N3: მედიკამენტი ლევოფლოქსაცინი არის პირველი წამალი, რომელიც Covid-19 ვირუსს კურნავს.

სიმართლე: მტკიცება, თითქოს მედიკამენტი ლევოფლოქსაცინი ეფექტური საშუალებაა კოვიდ 19 ვირუსის განსაკურნებლად, არის ყალბი. პრეპარატი ლევოფლოქსაცინი განეკუთვნება [ანტიბაქტერიულ](#) საშუალებებს და მის ანოტაციაში ხაზგასმულია, რომ სასუნთქი გზების, ყელ-ყურ-ცხვირის და კანის ინფექციების დროს გამოიყენება. კოვიდ 19 კი არის ვირუსი და არა ბაქტერიული დაავადება. გარდა ამისა, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის [ცნობით](#), ჯერ კიდევ არ არსებობს მედიკამენტი, რომლითაც შესაძლებელი იქნება კორონა ვირუსისგან განკურნება. გარდა ამისა, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია მუდმივად მოუწოდებს მოსახლეობას, არ მიმართონ თვითმკურნალობას კოვიდ 19 ვირუსის შემთხვევაში და ყურადღებას ამახვილებს საფრთხეებზე, რაც თან ახლავს ექიმის ზედამხედველობის გარეშე, დამოუკიდებლად ამა თუ იმ პრეპარატის მიღებას.

დეზინფორმაციის გავრცელების წყაროები: დეზინფორმაცია მედიკამენტ ლევოფლოქსაცინის შესახებ გავრცელდა ფეისბუქ გვერდებზე; [„სტალინი“](#), [„მთავარი სიახლეები“](#), [„ქართველთა მსოფლიო ცენტრი“](#) და [„შუა გზაზე“](#). ინფორმაციის წყაროდ მითითებულია ვებ პორტალი [tvm.ge](#). CrowdTangle-ის თანხმად, ჯამში აღნიშნულ პოსტებზე ონლაინ ინტერაქციამ 220 მომხმარებელს გადაჭარბა.

⁶ factcheck.ge, „დეზინფორმაცია: გერმანელმა მეცნიერებმა დაასახელეს მცენარე, რომელიც კორონავირუსის 97%-ს 5 წუთში სპობს“, 16 ნოემბერი 2020, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/ahtDyzW>

3.2. კონსპირაციული თეორიები და დეზინფორმაციული გზავნილები კოვიდ 19 ვირუსის წარმოშობისა და მახასიათებლების შესახებ

დეზინფორმაცია N4: კოვიდ 19 უბრალო ვირუსია, სეზონური გრიპი მასზე უფრო სახიფათოა და სიკვდილიანობაც სეზონური გრიპის შემთხვევაში უფრო მაღალია.

სიმართლე: სამწუხაროდ, აღნიშნული მტკიცება საფუძველს მოკლებულია. სეზონური გრიპის სიკვდილიანობის მაჩვენებელი (0.1%) გაცილებით დაბალია, ვიდრე კოვიდ 19-ის. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ნოემბრის [მონაცემებით](#), კოვიდ-19-ით გარდაიცვალა დაავადებულთა 2.7%. ასევე დეზინფორმაციაა მტკიცება, რომ კოვიდ 19 ნაკლებად სახიფათოა, ვიდრე სეზონური გრიპი. [საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის](#) შეფასებით, კორონა ვირუსი უფრო სწრაფად ვრცელდება და გაცილებით საშიშია ხანდაზმული ადამიანებისთვის, ვიდრე სეზონური გრიპი.

დეზინფორმაციის გავრცელების წყაროები: დეზინფორმაცია, თითქოს სეზონური გრიპი უფრო სახიფათოა, ვიდრე კორონა ვირუსი, აქტიურად გავრცელდა შემდეგ ფეისბუქ ჯგუფებში: [„საერთო სახალხო მოძრაობა“](#) და [„მთავარი საქართველოა“](#). პირველწყაროს კი წარმოადგენს ვებპორტალი [publishers.ge](#). Crowdtangle-ის მონაცემებით, აღნიშნულ დეზინფორმაციაზე ონლაინ ინტერაქციამ 200 მომხმარებელს გადააჭარბა.

დეზინფორმაცია N5: საგანგებოდ შექმნილმა საგამომიებო კომისიამ Covid-19 ვირუსის თაღლითური შინაარსი დაადგინა და პანდემია აფიორად გამოაცხადა.

სიმართლე: რეალურად კი 7 ექიმისა და გერმანელი ადვოკატის რაინერ ფულმიხის [განცხადებას](#), რომლის მიხედვითაც Covid 19 პანდემია თაღლითობაა, არ მოჰყოლია არანაირი ოფიციალური გამოხმაურება. გარდა ამისა, ადვოკატის ვიდეო მიმართვაში აღნიშნულია, რომ ეს მისი პირადი მოსაზრებებია. ავტორთა განცხადება ცრუ პანდემიასთან დაკავშირებით მოკლებულია სამართლებრივ არგუმენტაციას. შესაბამისად, მტკიცება, რომ კოვიდ 19 პანდემია აფიორად გამოცხადდა, კონსპირაციული შინაარსისაა.

დეზინფორმაციის გავრცელების წყაროები: აღნიშნული კონსპირაციული თეორია გავრცელდა შემდეგ ფეისბუქ გვერდებზე: [„კორონა მაფია“](#), [„ანტი-მასონობა. „ანტიქრისტეს“ ახალი მსოფლიო წესრიგი \(NWO\); ანტი-ეკუმენიზმი“](#) და [„მოქალაქე“](#). Crowdtangle-ის მონაცემებით, აღნიშნულ დეზინფორმაციაზე ონლაინ ინტერაქციამ 250 მომხმარებელს გადააჭარბა.



3.3. ბილ გეთისი და ანტივაქსერული დისკურსი

ონლაინ და სოციალურ მედიაში დეზინფორმაციული კამპანიის მნიშვნელოვანი სამიზნე აღმოჩნდა კომპანია „Microsoft“-ის დამფუძნებელი ბილ გეთისი. ვინაიდან ის პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემომწირველია და ვაქცინაციის მნიშვნელობაზე აქტიურ კამპანიას აწარმოებს. მედიამონიტორინგის პერიოდში მის წინააღმდეგ ქსელური ხასიათის დეზინფორმაცია გავრცელდა, რომლის მიხედვითაც, ბილ გეთისი ცდილობს მსოფლიო მოსახლეობაზე მასობრივი კონტროლის მოპოვებას ვაქცინაციის გზით და პანდემიას იყენებს პირადი ფინანსური მოგებისთვის. გარდა ამისა, აქტიურად გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას გაურიგდა Covid 19 ვირუსის პანდემიად გამოცხადების თაობაზე. საქართველოში აღნიშნული დეზინფორმაციის ერთ-ერთი წყარო გახდა ონლაინ პლატფორმაზე გამოქვეყნებული სასულიერო პირების [ვიდეო მიმართვა](#) „პანდემია თუ კორონა-თაღლითობა“.

დეზინფორმაცია N6: ბილ გეთისი მსოფლიოში სავალდებულო და სახიფათო ვაქცინაციის დაწყებას გეგმავს მოსახლეობაზე მასობრივი კონტროლის მოპოვების მიზნით.

სიმართლე: ქართულ ფეისბუქ ჯგუფებში გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ბილ გეთისი იძულებითი ვაქცინაციით მსოფლიო ბატონობას გეგმავს, არის დეზინფორმაცია, რომლის პირველწყაროა რუსული ვებ-გვერდი [cont.ws](#). სტატიაში აღნიშნულია, რომ ბილ გეთისმა New England Journal of Medicine-ში გამოქვეყნა პუბლიკაცია, სადაც ასახულია მის მიერ მსოფლიო მოსახლეობის იძულებითი ვაქცინაციის გეგმა. რეალურად კი აღნიშნულმა გამოცემამ ბილ გეთისის სტატია სათაურით: [Responding to Covid-19 - A Once-in-a-Century Pandemic?](#) (პასუხი Covid 19-ზე - საუკუნის პანდემია?) თებერვალში გამოაქვეყნა და მასში კომპანია Microsoft-ის დამფუძნებელი ვირუსის გლობალურ საფრთხეებსა და გამოწვევებზე საუბრობს და კაცობრიობას პანდემიასთან გამკლავების რეკომენდაციებს სთავაზობს. სტატიაში არაფერია ნათქვამი იძულებით ვაქცინაციაზე. შესაბამისად, სამეცნიერო ჟურნალში ბილ გეთისის მიერ „სახიფათო ვაქცინაციით“ მსოფლიო მოსახლეობაზე კონტროლის დაწესების გეგმაზე საუბარი არის დეზინფორმაცია.

დეზინფორმაციის გავრცელების წყაროები: [ანტი-მასონობა](#), [„ანტიქრისტეს“ ახალი მსოფლიო წესრიგი \(NWO\)](#); [ანტი-ეკუმენიზმი](#)“, [„საერთო სახალხო მოძრაობა ქართველი ერის გადარჩენისთვის!“](#), [„საქართველო უპირველეს ყოვლისა!“](#), [„კორონა მაფია“](#), [„იტალიის ცის ქვეშ“](#). ფეისბუქის საძიებო ინსტრუმენტის CrowdTangle-ის თანხმად, ჯამში აღნიშნულ პოსტებზე ონლაინ ინტერაქციამ 1 100 მომხმარებელი მოიცვა.

Lela Kikilashvili shared a post to the group: იტალიის ცის ქვეშ – L'ANIMA GEORGIANA. November 1 at 9:44 PM · 🌐



CONT.WS
Вакцинация будет не только принудительной, но и вызовет зависимость...

Lela Kikilashvili shared a post to the group: „საქართველო უპირველეს ყოვლისა!“ 6504 ძე 6. November 2 at 9:00 AM · 🌐



CONT.WS
Вакцинация будет не только принудительной, но и вызовет зависимость...

დეზინფორმაცია N7: პანდემია არ არსებობს. კორონავირუსის პანდემიად გამოცხადების მიზნით, ბილ გეთსმა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია მოისყიდა თაღლითური გეგმის მიხედვით.

სიმართლე: რეალურად, ბილ გეთსი მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ერთერთი ყველაზე დიდი დონორია. მისი ფონდის შემოწირულობა მხოლოდ პანდემიის დასაწყისში 150 მილიონი დოლარი იყო. ბილ გეთსმა ჯერ კიდევ [თებერვლის](#) დასაწყისში გააფრთხილა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, რომ პანდემია გარდაუვალი იყო, თუმცა კოვიდ 19 ვირუსი პანდემიად 2020 წლის 11 მარტამდე არ გამოცხადდა. ასევე დეზინფორმაციაა მტკიცება, რომ პანდემია არ არსებობს იმ პირობებში, როდესაც აღნიშნული ვირუსით დაინფიცირებულთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება და [დეკემბრის](#) მონაცემებით 220 ქვეყანაში 77 მილიონს გადააჭარბა, ხოლო გარდაცვლილთა რაოდენობა 1 700 000-ზე მეტია.

დეზინფორმაციის გავრცელების წყაროები: [„კორონა აფიორა“](#), [„საერთო სახალხო მოძრაობა ქართველი ერის გადარჩენისთვის!“](#), [„საქართველო უპირველეს ყოვლისა“](#), [„ანტი-მასონობა. ანტიქრისტეს“](#) [ახალი მსოფლიო წესრიგი \(NWO\)](#); [ანტი-ეკუმენიზმი](#), [„ქართველთა მსოფლიო ცენტრი“](#). უნდა აღინიშნოს, რომ სასულიერო პირების [ვიდეო მიმართვა](#) „პანდემია თუ კორონა-თაღლითობა“ ფეისბუქის მიერ შეფასდა, როგორც [დეზინფორმაცია](#). CrowdTangle-ის თანახმად, ჯამში, აღნიშნულ პოსტებზე ონლაინ ინტერაქციამ 6 400 მომხმარებელს გადაჭარბა.



პანდემია თუ კორონა-თაღლითობა

qadageba.ge

 ლევან ივერიელი ▶ საერთო სახალხო მოძრაობა ქართველი ერის გადარჩენისთვის!
23 Oct · Public

 qadageba.ge
23 Oct · Public

პანდემია თუ კორონა-თაღლითობა

